მწვანე ალტერნატივა

მისამართი: 0179, თბილისის, ფალიაშვილის ქ. # 27/29, II სართული
ტელეფონი: (+995 32) 2 22 38 74 / 2 29 27 73
ფაქსი: (+995 32) 2 22 38 74
ელ–ფოსტა: greenalt@greenalt.org

N 04 /06–36
"25" ივლისი, 2011

სატყეო სექტორთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის მოწოდების თაობაზე

საქართველოს ენერგეტიკისა და
ბუნებრივი რესურსების მინისტრს
ბატონ ალექსანდრე ხეთაგურს

ბატონო ალექსანდრე,

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ–გვერდისა და მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქართულმა დელეგაციამ, რომელსაც ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პირველი მოადგილე ქალბატონი მარიამ ვალიშვილი ხელმძღვანელობდა, მონაწილეობა მიიღო ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში გამართულ მინისტერიალზე, რომელიც კონტინენტის 46 ქვეყნის სატყეო სექტორზე პასუხისმგებელ მინისტრებსა და მაღალ ოფიციალურ პირებს მასპინძლობდა[1]. აღნიშნული ინფორმაციის თანახმად, "საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პირველი მოადგილე მინისტერიალზე სიტყვით გამოვიდა. მარიამ ვალიშვილმა ხაზი გაუსვა საქართველოს სატყეოს სექტორში განხორციელებულ რეფორმებს და ქვეყნის დაბალანსებულ სატყეო პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს, ერთის მხრივ, ტყეების რეაბილიტაციასა და დაცვას, ხოლო, მეორე მხრივ, მისი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების გაძლიერებას და წარმატებულ ინვესტიციებს სატყეო მეურნეობაში".

2004–დან 2011 წლამდე სატყეო სექტორის კურატორი სამინისტროს ხელმძღვანელობა შვიდჯერ შეიცვალა. ყველა მათგანი თავის მოღვაწეობას სატყეო რეფორმით იწყებდა, მაგრამ ახალი მინისტრის მიერ დაწყებული რეფორმების შინაარსი და მიმართულება ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა მისი წინამორბედისას. გასული წლის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტმა ამ რეფორმების შედეგს "ჩაფლავება" უწოდა და აღიარა, რომ სატყეო სექტორში არის გამეფებული სისტემური კორუფცია, ხოლო კონტროლისა და მონიტორინგის სისტემა – უვარგისი. პრეზიდენტის ამ განცხადების შემდეგ განხორციელდა მთავრობის სტრუქტურის ცვლილება და სატყეო სექტორი გადავიდა ახალი – ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კომპეტენციაში. ამის ფონზე, აბსოლუტურად გაუგებარია, რომელ მიღწევებზე და წარმატებულ რეფორმებზე საუბრობდა ახალი სამინისტრო ქვეყნის სახელით, ახალი სამინისტროს შექმნიდან სულ რაღაც სამიოდე თვეში.

სამწუხაროდ, მთელი ამ ხნის განმავლობაში დაინტრესებულ საზოგადოებას ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მომზადებული არანაირი დოკუმენტი არ უნახავს სატყეო სექტორთან დაკავშირებული გეგმების შესახებ. მედიაში გავრცელებული ფრაგმენტული ინფორმაცია ადგილობრივი მოსახლეობისათვის ხე–ტყის მოპოვებაზე შეზღუდვების გაუქმებისა და კომერციული ტყითსარგებლობისათვის ლიცენზირების სისტების იჯარით ჩანაცვლების შესახებ არასაკმარისია სიტუაციაში გასარკვევად.

[1] ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენცია http://www.foresteurope2011.org

ამასთან დაკავშირებით, გთხოვთ მოგვაწოდოთ:

- ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პირველი მოადგილის ქ-ნი მარიამ ვალიშვილის მიერ ოსლოს მინისტერიალზე წარმოთქმული სიტყვის ასლი;

- ინფორმაცია ოსლოს მინისტერიალის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და ამასთან დაკავშირებით სამინისტროში მომზადებული ყველა დოკუმენტის ასლი.

- თქვენდამი დაქვემდებარებულ სამინისტროში მომზადებული ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს სატყეო სექტორში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ (მაგ. ადგილობრივი მოსახლეობის უზრუნველყოფის სისტემის ცვლილებები, უკანონო ჭრების პრევენციის სისტემა, სატყეო ფართობების იჯარა ლიცენზირების ნაცვლად და ა.შ.), მათ შორის: ადმინისტრაციული და ნორმატული სამართლებივი აქტები და/ან მათი პროექტები; მოხსენებითი ბარათები; მიმოწერა სხვა სამთავრობო დაწესებულებებთან და მთავრობის კანცელარიასთან.

წინასწარ მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის,

პატივისცემით,

_____

ირაკლი მაჭარაშვილი
ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორი